## ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი იმართება ყოველწლიურად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სწავლების **სამივე საფეხურის სტუდენტებს** და **პროფესორებს**.

2016 წელს ფორუმში განაცხადი შემოიტანა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო სწავლების საფეხურის სამმა სტუდენტმა, ერთმა მაგისტრანტმა, ორმა დოქტორანტმა და ორმა პროფესორმა.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულმა კომისიამ შეიმუშავა შეფასების კრიტერიუმები თითოეული საფეხურის სტუდენტისა და აკადემიური პერსონალისათვის ცალ–ცალკე. ფაკულტეტის პროფესორების სტატიები გაიგზავნა გარე რეცენზირებაზეც, სტუდენტების ნაშრომები კი მხოლოდ კომისიამ შეაფასა.

საბაკალავრო დონის სწავლებიდან კომისიამ გამარჯვებულად ცნო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტუდენტების **ქრისტინე ჯინჭველეიშვილისა** და **ანი კენჭაშვილის** ნაშრომი **„ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული კავშირები „ისლამური სახელმწიფოს“** მაგალითზე“. ნაშრომი მოსმენილი იყო 2015 წლის სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე და შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/jinchveleishvili_66596.pdf

მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის **სალომე დავითაშვილის** ნაშრომს **„ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში**“, რომელიც მოსმენილი იყო ასევე 2015 წლის სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე, კომისიამ დადებითი შეფასება მისცა ფორუმზე გასატანად. ნაშრომი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/salome%20davitashvili.pdf

დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს კომისიამ არ გაუწია რეკომენდაცია ფორუმზე მონაწილეობაზე.

გარე რეცენზენტებისა და კომისიის წევრების შეფასებების შეჯერების შედეგად გამოვლინდა პროფესორთა გამარჯვებული პუბლიკაცია: სოციოლოგიისა და სოცილაური მუშაობის დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის** სტატია „Western Imaginary and Imagined Defense: Strategies of Eastern Europe and its Borderlands”. ნაშრომი გამოქვეყნებული იყო ჟურნალში „Central European Journal of International and Security

**Studies“** 2013 წელს და შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: http://www.cejiss.org/static/data/uploaded/1404332675236302/Article%2005.pdf

გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო, ხოლო მათი სტატიები დაიბეჭდება თსუ კრებულში.